ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/233-13 18 01 2013წ.

დადგენილება №000047
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

18.01.2013წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ გურანდა ჯაბუამ განვიხილე 2012 წლის 05 ნოემბრის №000047 მითითება და 2012 წლის 21 ნოემბრის №000047 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ის (მის: ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ. №1 / რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ, ნაკვეთი №065/012) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ. №1 / რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ, ნაკვეთ №065/012-ში შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ის მიერ განხორციელდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/3283 28.10.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „ა-ე" ფასადზე „ბ-ე" მონაკვეთში „±0.00" ნიშნულზე შეცვლილია ხის მოაჯირების, სვეტებისა და ხის დეკორატიული ელემენტების ნახატი. „დ-ე" მონაკვეთში რკინის კარი შეღებილია მუქ ყავისფრად. „±0.00" ნიშნულის ქვევით ლითონის სვეტები მოპირკეთებულია აგურით. „ა-გ" მონაკვეთში რელიეფის ცვლილების გამო შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა, ხუთის ნაცვლად მოწყობილია ორი (მიწის დონე აწეულია). „5-1" ფასადზე „5-3" მონაკვეთში „±0.00" ნიშნულის ქვევით ფრამუგებზე დამატებით მოწყობილია რკინის გისოსები, ხოლო „±0.00" ნიშნულის ზევით შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „3-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყლის მილები. „5-2" მონაკვეთში კაპიტალურ კედელზე შესრულებულია დეკორატიული ლესვის ელემენტები. „3-2" მონაკვეთში „±0.00" ნიშნულის ზევით ხის ჭალუზში გაუქმებულია ორი ხვრელი, ასევე „1-1" ღერძის გარეთ კაპიტალურ კედელში გაუქმებულია ორი ხვრელი. „3-1" მონაკვეთში „+3.99" ნიშნულის ქვევით შემცირებულია სახურავი სიგრძეში, დაახლოებით 0.25სმ, ხოლო „+3.99" ნიშნულის ზევით სახურავზე დამატებით მოწყობილია ორი გამწოვი მილი. „1-1" ღერძის გარეთ „+3.99" ნიშნულის ქვევით სახურავი

კრამიტის ნაცვლად დახურულია თუნუქის ფურცლებით. „1-5“ ფასადზე „1-5“ მონაკვეთში შეცვლილია ხის მოაჯირების, სვეტებისა და ხის დეკორატიული ელემენტების ნახატი. „3-4“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ქვევით შეცვლილია ფანჯრის ნახატი და ფრამუგა შემცირებულია სიგანეში, დაახლოებით 0.20მ-ით. „1-4“ მონაკვეთში ლითონის სვეტები მოპირკეთებულია აგურით. „3-5“ მონაკვეთში კაპიტალურ კედელზე არ არის მოწყობილი მცენარეული საფარი. „5-5“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი, დაახლოებით 2.30მ სიგრძის და 2.50მ სიმაღლის და კედელში კარის ღიობი რომელიც შევსებულია რკინის კარით. „1-2“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ზევით რკინის ჟალუზის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი და ვიტრაჟის გვერდებზე კაპიტალური კედელი მოპირკეთებულია აგურით. „2-3“ მონაკვეთში ხის ჟალუზის გვერდით კაპიტალური კედელი მოპირკეთებულია აგურით. „3-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი ვიტრაჟი და მის გარეთ გაზრდილია ხის მოაჯირები თითო, დაახლოებით 0.60მ-ით. „3-4“ მონაკვეთში ხის სვეტს მონაცვლებული აქვს ადგილი „3-3“ ღერძისკენ, დაახლოებით 0.60მ-ით, გაუქმებულია ერთი სვეტი და „+3.99“ ნიშნულის ქვევით სწორი პერბოლის ნაცვლად მოწყობილია ტეხილი ფორმის. „1-1“ ღერძის გარეთ „+3.99“ ნიშნულზე გადახურვასა და პერბოლას შორის სივრცე შევსებულია ხით. „1-2“ მონაკვეთში სახურავზე საბუხრისი აგურის ნაცვლად მოპირკეთებულია თუნუქის ფურცლებით. „2-4“ მონაკვეთში კი დამატებით მოწყობილია სამერცხლული. „ე-ა“ ფასადზე „ე-დ“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ქვევით შეცვლილია კარის ნახატი. „დ-ბ“ მონაკვეთში კაპიტალურ კედელზე შესრულებულია დეკორატიული ლესვის ელემენტები. შემცირებულია კარის ღიობი დაახლოებით 0.60მ-ით, დამატებით მოწყობილია კარის გვერდით ფრამუგა და „გ-ბ“ მონაკვეთში ფრამუგაზე მოწყობილია რკინის გისოსი. „ბ-ა“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კიბე. „ე-დ“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ზევით არ არის მოწყობილი ჰაერსატარი და „+3.99“ იშნულის ქვევით სახურავში არსებული სივრცე შევსებულია ხით. „დ-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „ბ-ა“ მონაკვეთში „-2.73“ ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში „4-5“ მონაკვეთში შიდა კიბეზე გაუქმებულია ერთი საფეხური. „±0.00“ ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში „1-1“ ღერძის გარეთ გაზრდილია ხის მოაჯირი სიგრძეში, დაახლოებით 0.60მ-ით, ასევე მოპირკეთების ხარჯზე გაზდილია შესასვლელ კართან კაპიტალური კედელი, დაახლოებით 0.30მ-ით და კარის წინ აწეულია დონე, დაახლოებით 0.25მ-ით. „გ-დ“ მონაკვეთში „4-4“ და „5-5“ ღერძებს შორის შიდა კიბესთან დამატებით მოწყობილია გადასასვლელი და ხის ბაქანი. „ე-ბ“ მონაკვეთში „5-5“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია სარინელი. „ა-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბეტონის ფილა დაახლოებით 10.0მ^2 ფართზე და მასზე განთავსებულია გენერატორი. „ე-ა“ ფასადის მხარეს (შენობის უკანა მხარე) ეზოში დამატებით მოწყობილია ფანჩატური ზომებით 3.50X3.30X3.20 (დაახლოებით 11.50მ^2). ტერიტორიის შემომსაზღვრელი ღობე ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვრებს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2012 წლის 05 ნოემბერს შედგენილი იქნა მითითება №000047, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2012 წლის 21 ნოემბერს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000047, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2012 წლის 04 დეკემბერს და 2012 წლის 11 დეკემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები, რის შესახებაც მხარეს ეცნობა სათანადო წესით. სხდომებზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ის წარმომადგენელი.

2013 წლის 17 იანვარს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა საქმის განხილვა, რის შესახებაც მხარეს ეცნობა სათანადო წესით. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ის წარმომადგენელი მოქ. დავით გაჩეჩილაძე (პირადი №01011003292), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათზე აღნიშნულ თარიღებში. მანვე განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთის პრობლემა მოგვარებულია და აპირებენ კორექტირებული პროექტის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურში წარდგენას. საქმეშია, მინდობილობა №121154327, რეგისტრირებული ნოტარიუს სოსო მუმლაძის მიერ 23.10.2012წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ის მიერ ჩადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ. №1 / რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ, ნაკვეთ №065/012-ში შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ის მიერ განხორციელდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/3283 28.10.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ. ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ლუნა 2010" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის **სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ლუნა 2010"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. . სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე



გ. ჯაბუა